ალექსანდრე ლაცაბიძე
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
a.latsabidze@freeuni.edu.ge

კასპიის ზღვის რეგიონის ახალი გეოპოლიტიკური რეალობები

რეზიუმე

ყაზახეთის ქალაქ აქტაუში 2018 წლის 12 აგვისტოს, კასპიის ზღვისპირა ქვეყნების მეხუთე სამიტზე, ხუთმა კასპიის ზღვისპირა ქვეყანამ: აზერბაიჯანმა, თურქმენეთმა, ყაზახეთმა, ირანმა და რუსეთმა ხელი მოაწერა კონვენციას კასპიის ზღვის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ორ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში, ვერ ხერხდებოდა კასპიის ზღვისპირა ქვეყნებს შორის კასპიის ზღვის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევა. კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის დადგენა, დამოკიდებული იყო მრავალ სირთულეზე, კერძოდ, ზღვისპირა ქვეყნების საკითხისადმი განსხვავებულ მიდგომებსა და ინტერესებზე. ქვეყნებს შორის არსებობდა განსხვავებული მიდგომა ზღვის გაყოფასა და რესურსების გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით. სამართლებრივი სტატუსის არარსებობა, შეუძლებელს ხდიდა მრავალი რეგიონალური და გლობალური ენერგო პროექტის განხორციელებას. ქ. აქტაუს სამიტზე მიღწეულმა შეთანხმებამ შესაძლოა მნიშვნელოვნად შეცვალოს კასპიისპირა რეგიონში (რომელშიც მოისაზრება ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონებიც) არსებული გეოპოლიტიკური ვითარება.

კონვენციის მიხედვით ქვეყნებს ეკრძალებათ კასპიის ზღვაზე სხვა არარეგიონალური სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების განთავსება, რაც ძალზედ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს რუსეთსა და ირანისთვის. შეთანხმება მომავალში აჩენს ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან ენერგორესურსების ტრანსპორტირების პერსპექტივას.

საკითხი თავისი მნიშვნელობით ცდება რეგიონალურ მასშტაბს და წარმოადგენს გლობალურ საკითხს, ვინაიდან კასპიის ზღვასა და რეგიონში არსებული ენერგორესურსები ევროპისთვის წარმოადგენს ენერგომატარებლების მიწოდების ალტერნატიულ წყაროს.

სტატიის მიზანს წარმოადგენს, ქ. აქტაუს სამიტზე კონვენციის გაფორმების შემდეგ შექმნილი ახალი რეალობის გაანალიზება და განსაზღვრა, თუ რამდენად ახდენს მიღწეული შეთანხმება გავლენას, რეგიონში არსებულ გეოპოლიტიკურ ვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: კასპიის ზღვა, სამართლებრივი სტატუსი, აქტაუს სამიტი, ენერგომატარებლები, რეგიონი.

შესავალი

კასპიის ზღვის რეგიონის მდებარეობა ევროპასა და აზიას შორის, დასავლეთ-აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ-სამხრეთი საკომუნიკაციო დერეფნების მოწყობის პერსპექტივა განსაზღვრავს რეგიონის გლობალურ მნიშვნელობას (Latsabidze 2004, 89-100). კასპიის ზღვის რეგიონი უკავშირდება ოთხ გეოპოლიტიკურ არეას: აღმოსავლეთით - ცენტრალური აზია; დასავლეთით - სამხრეთ კავკასია; სამხრეთით - ირანი; ჩრდილოეთით - რუსეთი (Latsabidze

2003-2004, 173-177). საბჭოთა პერიოდში კასპიის ზღვა წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის შიდა წყალსაცავს, რომელსაც სამხრეთიდან ესაზღვრებოდა ირანი. საბჭოთა კავშირისა და ირანის მიერ დადგენილი სტატუსი, რომელიც თვლიდა კასპიის ზღვას შიდა კონტინენტურ წყალსაცავად, აღიარებული იყო საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ.

კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის დადგენა, კვლავ აქტუალური გახდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. წარმოიშვა ახალი რეალობა, შეიქმნა ახალი ქვეყნები: აზერბაიჯანი, ყაზახეთი, თურქმენეთი, რუსეთის ფედერაცია. წარმოიშვა საჭიროება კასპიის ზღვის გაყოფის უკვე ხუთ ქვეყანას შორის (ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნები და ირანის ისლამური რესპუბლიკა).

სამართლებრივად განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენდა განსაზღვრა თუ რას მიეკუთვნება კასპიის ზღვა - ზღვას თუ ტბას, რაც საერთაშორისო სამართლის მიხედვით წარმოადგენს სხვდასხვა რეგულციის საგანს.

კასპიის ზღვის რეგიონის შესწავლისას, რომელშიც შედის სამხრეთ კავკასია და ენერგომატარებლებით მდიდარი ცენტრალური აზია, აუცილებელია საფუძვლიანად განვიხილოთ კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსი და რეგიონში არსებული ძალთა ბალანსი. აღნიშნული საკითხისადმი დიდია მსოფლიოს ისეთი მსხვილი მოთამაშეების დაინტერესება, როგორებიცაა: აშშ, ევროკავშირი, თურქეთი, ჩინეთი, იაპონია და სხვა. ეს ქვეყნები აქტიურად არიან ჩართულნი რეგიონში მიმდინარე პროცესებში.

კასპიის რეგიონი ევროპის ენერგორესურსების მომარაგების საკითხში, განიხილება როგორც რუსეთის ერთერთი ალტერნატივა. აღნიშნული რეგიონიდან ევროპის ბაზრების ენერგორესურსებით მომარაგება, შეამცირებს რუსეთიდან მიწოდებულ ბუნებრივ აირზე ევროპის ენერგო დამოკიდებულებას. ევროპის ენერგოდამოკიდებულების შემცირება და ალტერნატიული ენერგო ბაზრების განვითარების აუცილებლობა, კიდევ უფრო მეტ აქტუალობას სძენს აღნიშნულ რეგიონს. სტრატეგიულად ეს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური გზაჯვარედინი, თავისი უხვი ენერგორესურსებით ოცდამეერთე საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს.

სამართლებრივი სტატუსი

2018 წლის 12 აგვისტომდე, კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსი განსაზღვრული იყო რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკასა და სპარსეთს შორის 1921 წლის 21 თებერვლის და საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის 1940 წლის 25 მარტის „ვაჭრობასა და ნაოსნობის შესახებ“ გაფორმებული ხელშეკრულებებით. აღნიშნული შეთანხმებები, რომლებიც ემყარებოდა „საერთო წყალის“პრინციპს, უზრუნველყოფდა თავისუფალ ნაოსნობასა და თევზჭრას კასპიისპირა ქვეყნებისათვის (უკანასკნელ შემთხვევაში 10 მილიანი სათევზაო ზონის გამოკლებით), თუმცა ამასთანავე იკრძალებოდა არაკასპიისპირა ქვეყნების დროშის ქვეშ ნაოსნობა. შეთანხმებები არ არეგულირებდნენ წიაღისეულის მოპოვების, გარემოს დაცვისა და სამხედრო საქმიანობის საკითხებს. გარდა ამისა, აღნიშნული ხელშეკრულებები არ იყო აღიარებული ყველა ახლად შექმნილი სახელმწიფოების მიერ. 1991 წელს გაფორმებული ალმაატის დეკლარაციის მიუხედავად, ყაზახეთი, აზერბაიჯანი და თურქმენეთი უარს აცხადებდნენ, ირანსა და საბჭოთა კავშირს შორის 1921 და 1940 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების სამართლებრივი ძალის აღიარებაზე. 1991 წლის ალმაატის დეკლარაცია ავალდებულებდა ახალ, ზღვისპირა სახელმწიფოებს, საბჭოთა კავშირის მიერ გაფორმებული ყველა ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების დაცვას (The Alma-Ata Declaration 1991). ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნებისათვის მიუღებელი იყო კასპიის ზღვის არსებული სამართლებრივი რეჟიმის შენარჩუნება.

1992 წლიდან, კასპიის ზღვის სამართლებრივი რეჟიმის განსასაზღვრად განიხილებოდა სხვადასხვა მიდგომები, ძირითადათ განიხილებოდა კონდომინიუმისა და გაყოფის რეჟიმები. კონდომინიუმის რეჟიმი გულისხმობს, რომ კასპიის ზღვაში არსებული ყველა რესურსი საერთოა და ხუთივე ზღვისპირა ქვეყანამ უნდა გამოიყენოს ის ერთად. შესაბა-

მისად ყველა გადაწყვეტილება, კასპიის ზღვის რესურსების დამუშავებაზე და გამოყენებაზე საჭიროებს ხუთივე ქვეყნის თანხმობას. სამართლებრივი თეორიები იმის შესახებ, კასპიის ზღვა არის ზღვა, ტბა თუ კონდომინიუმი წარმოადგენდა კამათის საგანს მრავალი წლის განმავლობაში. მხარეების მიერ, რომელიმე ერთ კონცეფციაზე შეთანხმება, გამოიწვევდა კასპიის ზღვის სტატუსის დარეგულირებას (Janusz-Pawletta 2015, 27).

ხუთ კასპიის ზღვისპირა ქვეყანას შორის უთანხმოება წარმოიშვა კასპიის ზღვის სტატუსის გამო: ჩაეთვალათ თუ არა კაასპიის ზღვა ტბათ თუ ზღვად. თუ კასპიის ზღვა ტბაა, საერთშრისო სამართლის ნორმების თანახმად მის აკვატორიაში არსებული რესურსები ნაწილდება თანაბრად ზღვისპირა ქვეყნებს შორის.ზღვის შემთხვევაში, ტერიტორიალური წყლები არ ცდება 12 საზღვაო მილს. შესაბამისად კასპიისპირა ხუთი ქვეყნის მიდგომა სტატუსთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ერთ მხარეს იყო: რუსეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, რომლებიც ამტკიცებედნენ, რომ კასპიის ზღვა არის ზღვა და მისი სტატუსი უნდა დარეგულირდეს საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესაბამისად. მეორე მხარეს იყვნენ: ირანი და თურქმენეთი, რომლებიც თვლიდნენ, რომ კასპიაზე უნდა გავრცელებულიყო ტბის სამართლებრივი რეჟიმი. ძირითად სირთულეს წარმოდგენდა კასპიის ზღვის გაყოფის მექანიზმის არ არსებობა (ქვეყნების განსხვავებული მიდგომა კასპიის ზღვის გაყოფის საკითხთან დაკავშირებით). აზერბაიჯანი, თურქმენეთი და ყაზახეთი ემხრობოდნენ შუა ხაზზე გაყოფის პრინციპს, ხოლო ირანი თვლიდა, რომ თითოეულ ქვეყანას უნდა შეხვედროდა თანაბარი ნაწილი (Бехзади 2010, 98-108). გარდა ამისა ქვეყნებს შორის იყო ტერიტორიული/სასაზღვრო უთანხმოება, რაც თავის მხრივ აგრეთვე აფერხებდა შეთანხმების მიღწევას.

ორმხრივმა და სამხრივმა შეთანხმებებმა, რომლებსაც ხელი მოაწერეს: რუსეთმა, აზერბაიჯანმა და ყაზახეთმა 1997, 1998 და 2001 წლებში, ხოლო თურქმენეთმა და ყაზახეთმა 2014 წელს, დაასრულეს ზღვის ფსკერთან დაკავშირებული უთანხმოებები ჩრდილოეთ კასპიის ზღვაში. ძირითადი სირთულეები ეხებოდა კასპიის ზღვის სამხრეთ ნაწილს, კერძოდ არსებობდა სასაზღვრო უთანხმოება ირანსა და აზერბაიჯანს, და ირანსა და თურქმენეთს შორის, აგრეთვე არსებობდა უთანხმოება თურქმენეთსა და აზერბაიჯანს შორის (Garibov 2019, 1-6).

კასპიისპირა ქვეყნების სამიტები

კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის ოფიციალურად დადგენის პროცესი დაიწყო 1996 წლის ნოემბერში, ქ. აშხაბადში გამართულ კასპისპირა ქვეყნების, საგარეო საქმეთა მინისტრთა შეხვედრაზე, სადაც მხარეები შეთანხმდნენ ხუთ მხრივ ფორმატში, შეხვედრების გამართვაზე (Warsaw Institute 2018, 1-17).

კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის ოფიციალურად დადგენის პროცესი დაიწყო საბაზო დოკუმენტზე მუშაობის პარალელურად, რომელიც ეხებოდა კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრას. კასპიისპირა ქვეყნები აგრძელებდნენ მუშაობას სხვადასხვა დოკუმენტებზე, რომელებიც განკუთვნილი იყვნენ სხვადასხვა მიმართულებით რეგიონალური თანამშრომლობისთვის. ხუთი ქვეყნის მიერ მიღებული პირველი დოკუმენტი გახლდათ ჩარჩო კონვენცია, რომელსაც ხელი მოეწერა 2003 წლის ნოემბერში, თეირანში ე.წ. „**თეირანის კონვენცია**“. კონვენცია ეხებოდა კასპიის ზღვის გარემოს დაცვას. თეირანის კონვენცია ძალაში შევიდა 2006 წლის 12 აგვისტოს.

კასპიისპირა ქვეყნების სამიტების გამართვას საფუძველი ჩაეყარა თურქმენეთში. 2002 წლის აპრილში ქ. აშხაბადში გაიმართა, კასპიისპირა ქვეყნების პირველი სამიტი, სადაც განიხილებოდა დოკუმენტი, რომელშიც ასახული იყო კასპიისპირა ქვეყნების პოლიტიკური შეთანხმებები - კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის ძირითადი მიმართულებებით, როგორიცაა უსაფრთხოება ზღვაზე და სხვა. შესაბამისად, 2007 წლის ოქტომბერში, ქ. თეირანში, კასპიისპირა ქვეყნების მეთაურების მეორე შეხვედრაზე, ხელმოწერილი იქნა აზერბაიჯა-

ნის რესპუბლიკის, ირანის ისლამური რესპუბლიკის, ყაზახეთის რესპუბლიკის, რუსეთის ფედერაციისა და თურქმენეთის დეკლარაცია.

ქვეყნების მეთაურებმა, კასპიის მესამე სამიტზე ხელი მოაწერეს შეთანხმებას, კასპიის ზღვაზე უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობასთან დაკავშირებით და შეიმუშავეს ერთობლივი განცხადება სამიტის შედეგებთან დაკვშირებით.

კასპიისპირა ქვეყნების მეოთხე სამიტზე, რომელიც შედგა 2014 წლის სექტემბერში ქ. ასტრახანში (რუსეთი), ხელმოწერილ იქნა განცხადება/დოკუმენტი, სადაც შეთანხმებული იყო კასპიის ზღვაზე მოქმედებების ძირითადი პრინციპები. სამიტზე აგრეთვე ხელმოწერილი იყო შეთანხმება კასპიის ზღვაზე ჰიდრომეტეოროლოგიის სფეროში თანამშრომლობის შესახებ და მთავრობათაშორისი შეთანხმებები, რომელებიც ინიცირებული იყო თურქმენეთის პრეზიდენტის მიერ, მესამე სამიტზე. სამიტის დასასრულს მიღებულ იქნა კომუნიკე.

2018 წლის 12 აგვისტოს ქ. აქტაუში, მეხუთე სამიტზე, ხელი მოეწერა კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის განმსაზღვრელ შეთანხმებას. აღნიშნული შეთანხმება შეიძლება აღქმული იყოს, როგორც ისტორიული მოვლენა. სამიტზე აგრეთვე ხელი მოეწერა ტრანსპორტის, სავაჭრო-ეკონომიკური თანმშრომლობის, ინციდენტების თავიდან არიდების შეთანხმებებს და კასპიაზე უსაფრთხოების სფეროში შეთანხმებასთან დაკავშირებულ პროტოკოლებს (МИД Туркменистана 2019).

აქტაუს სამიტი

2018 წლის 12 აგვისტოს, კასპიის ზღვისპირა ხუთი სახელმწიფოს (ყაზახეთი, აზერბაიჯანი, თურქმენეთი, ირანი და რუსეთი) ლიდერებმა, ყაზახეთის ქალაქ აქტაუში, კასპიის სამიტზე ხელი მოაწერეს კასპიის ზღვის სტატუსის გამსაზღვრელ კონვენციას. შეიძლება ითქვას, რომ ორი ათწლეულის შემდეგ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა კასპიის ზღვის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით. კონვენციის თანახმად, კასპიის ზღვის ზედაპირი მხარეთა სარგებლობაში რჩება. ფსკერი და ნიადაგი მეზობელ სახელმწიფოებს შორის იყოფა, მათ შორის მიღწეული შეთანხმების შესაბამისად და საერთაშორისო სამართლის გათვალისწინებით. ზღვა დაყოფილია სექტორებად: შიდა წყლები; ტერიტორიული წყლები (სიგანე 15 საზღვაო მილი, რომლის ფარგლებშიც ვრცელდება სახელმწიფო სუვერენიტეტი); თევზჭერის ზონები (სიგანე 10 მილი. აღნიშნულ ფარგლებში სახელმწიფოებს გააჩნიათ რეწვის განსაკუთრებული უფლება); საერთო საზღვაო სივრცე. მხარეებს შეუძლიათ წყალქვეშა კაბელებისა და მაგისტრალური მილსადენების აშენება ზღვის ფსკერზე, თუ პროექტები საერთაშორისო ხელშეკრულებების თანახმად, შეესაბამება ეკოლოგიურ მოთხოვნებსა და სტანდარტებს, რომლის მონაწილეებიც თვითონ არიან, ჩარჩო ხელშეკრულების ჩათვლით, რომელიც ეხება კასპიის ზღვის საზღვაო გარემოს დაცვასა და მასთან არსებულ შესაბამის ოქმებს. წყალქვეშა კაბელებისა და მილსადენების გზების დადგენა ხდება იმ მხარესთან ერთად, რომლის ფსკერის სექტორზე უნდა გავიდეს წყალქვეშა კაბელი ან მილსადენი. კონვენციის შესაბამისად, კასპიის ზღვის აუზში არარეგიონალური სამხედრო ძალების არსებობა დაუშვებელია. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელობას კასპიისპირა ხუთივე სახელმწიფო იღებს. მიღწეული შეთანხმების თანახმად, ნაოსნობა, თევზჭერა, სამეცნიერო კვლევა და მილსადენების მშენებლობა, მხარეთა მიერ შეთანხმებული წესების მიხედვით უნდა განხორციელდეს. მასშტაბური პროექტების განხორციელებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ეკოლოგიური ფაქტორი, ხოლო ეკოსისტემის ზარალზე პასუხისმგებლობას იღებს ყველა ქვეყანა. კონვენცია განსაზღვრავს კასპიის ზღვას, როგორც წყალსაცავს, რომელიც გარშემორტყმულია ხმელეთით. კასპიის ზღვა არ ითვლება არც ზღვად და არც ტბათ. კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას. სარატიფიკაციო რწმუნებები შესანახად ბარდება ყაზახეთს, რომელიც ასრულებს კონვენციის დეპოზიტარის ფუნქციას. კონვენცია ძალაში შედის, დეპოზიტარის მიერ მეხუთე სარატიფიკაციო რწმუნებისმიღების შემდეგ (Convention on the Legal Status of the Caspian Sea 2018).

ქ. აქტაუს სამიტის შედეგები

ქ. აქტაუში, 2018 წელს, ხუთი კასპიისპირა ქვეყნის მიერ ხელმოწერილი კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, რომელიც დამოკიდებულია მონაწილე ქვეყნების პარლამენტების მიერ რატიფიკაციაზე, ჩნდება ახალი შესაძლებლობები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონვენცია ენერგოპროექტების განხორციელების კუთხით.

კასპიის ზღვის სტატუსის დადგენა დიდ გავლენას ახდენს მილსადენების მშენებლობაზე, რომლებითაც უნდა განხორციელდეს ნავთობისა და ბუნებრივი აირის ექსპორტი ცენტრალური აზიიდან ევროპაში (Coffey 2016, 1-5). აღნიშნული მიმართულებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროექტს წარმოადგენს ტრანს-კასპიური მილსადენი (Trans Caspian Pipline). ტრანს კასპიური მილსადენის საშუალებით 30 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი, თურქმენეთიდან აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის გავლით, უკვე არსებული მილსადენების საშუალებით, ევროპას უნდა მიეწოდოს.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, არარეგიონალური სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების არდაშვება ზღვაზე. უცხო ქვეყნების შეიარაღებული ძალების არ დაშვების საკითხმა შესაძლოა გადამწყვეტი როლი ითამაშოს ირანისა და რუსეთის პოზიციებზე. აღნიშნული საკითხი ძალზედ მნიშვნელოვანია რუსეთისა და ირანისთვის, რაც გამოწვეულია, აშშ-სა და ნატოს მიმართ, მათი ანტაგონისტური დამოკიდებულებით.

მიუხედავად იმისა, რომ აქტაუს კონვენცია შეიძლება ჩაითვალოს კასპიის ზღვის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით, ათწლეულების განმავლობაში წარმოებული რთული მოლაპარაკებების დასასრულად, ჯერ კიდევ ბოლომდე ნათელი არ არის რამდენად ეფექტურია მიღებელი კონვენცია ზღვისპირა ქვეყნებს შორის არსებული სადაო საკითხების დარეგულირებაში. კასპიის ზღვის სამხრეთ ნაწილში, ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული ზღვის ფსკერის საზღვრების დელიმიტაციის საკითხი, შესაბამისად შეთანხმება იქცა დებატების საგნად თეირანში. კრიტიკოსები ამ შეთანხმებას განიხილავენ, როგორც რუსეთის საგარეო პოლიტიკის დომინირების მაგალითს რეგიონში (Vatanka 2019, 1-3). აქტაუს კონვენციის ხელმოწერის შემდეგ, 2018 წლის 23 აგვისტოს, ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა შესაბამისი განმარტებები ქ. აქტაუში მიღწეულ შეთანხმებასთან დაკავშირებით. ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განაცხადებით, აქტაუს შეხვედრაზე თითოეული ქვეყნის წილის საკითხი არ განხილულა და კონვენცია, რომელიც ხელმოწერილ იქნა 2018 წლის 12 აგვისტოს ყაზახეთში, არ ეხებოდა ქვეყნების ზღვის ფსკერის წილებს (Iran Press 2018, 1-5).

ქ. აქტაუში, მიღწეული შეთანხმების შემდეგ, ირანის პრეზიდენტმა, ჰასან რუჰანიმ განაცხადა, რომ მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, ზღვის ფსკერის დელიმიტაცია, რომელმაც გამოიწვია ბევრი უთანხმოება, საჭიროებს დამატებით შეთანხმებას ზღვისიპირა ქვეყნებს შორის (Auyezov 2018, 1-8). შესაბამისად სააბოლოოდ მიღებული დოკუმენტი განსაზვრავს მშვიდობიან თანაარსებობისა და ზღვისპირა ქვეყნების თანამშრომლობის პრინციპებს. კონვენციას, აგრეთვე უნდა განესაზღვრა საზღვაო საზღვრები, რაც ყველაზე სადავო საკითხს წარმოადგენს. კონვენცია არ ადგენს ზუსტ საზღვრებს, მაგრამ განსაზღვრავს მათი დადგენის წესს. ეს არის ეგრეთ წოდებული 15 მილიანი საზღვაო ზონა (რომელიც ითვლება ნაპირიდან), რომლის გარე საზღვარი ჩაითვლება სახელმწიფო საზღვრად (Каражанов 2019, 1-5). შესაბამისად ირანის ისლამური რესპუბლიკის ოფიციალურ პოზიციაში შეიმჩნევა, რიგი საკითხების მიმართ განსხვავებული მიდგომა, რაც გარკვეულ წილად გამოიხატება საზღვრების დელიმიტაციასთან დაკავშირებით კონსესუსის არარსებობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

Auyezov, Olzhas. 2018. "Russia, Iran, and Three Others Agree Caspian Status, but not Borders". *Reuters*, August 12, 2018: 1-8. https://www.reuters.com/article/us-kazakhstan-caspian-borders/rus...d-three-others-agree-caspian-status-but-not-borders-idUSKBN1KX0CI

Coffey, Luke. 2016. "Caspian Sea Ownership: Not an Issue the U.S. Should Ignore". *The Heritage Foundation*, September 13, 2016: 1-5. https://www.heritage.org/node/10471/print-display

Convention on the Legal Status of the Caspian Sea. August 12, 2018 (Article 3; 9; 14; 22).

Iran Press, 2018. "Iran Foreign Ministry Clarifies Points about Caspian Sea Legal Regime". August 23, 2018: 1-5. http://iranpress.com/en/iran-i128264iran_foreign_ministry_clarifies_points_about_caspian_sea_legal_regime

Garibov, Azad. 2019. "Key Disputes Remain Unsettled in the Caspian Sea Despite the Signing of the Convention on Legal Status". *EUCACIS in Brief*, No 8 (June 2019): 1-6.

Janusz-Pawletta, Barbara. 2015. *The Legal Status of the Caspian Sea: Current Challenges and Prospects for Future Development*. Berlin Center for Caspian Region Studies. Environmental Policy Research Centre (FFU). Berlin: Springer-Verlag Berlin Heidelberg.

Latsabidze, Alexander. 2003-2004. "Caspian Sea and the Issue of its Legal Status". *Orientalist II:* 173-177.

Latsabidze, Alexander. 2004. "Fuel and Energy Resources of the Caspian Region". *The East and Caucasus – Reviewed and Reported International Scientific Journal*, № 2: 89-100.

The Alma-Ata Declaration. Signed on December 21, 1991.

Warsaw Institute, 2018. "Caspian Summit: Consequences for the Region". September 14, 2018: 1-17. warsawinstitute.org.

Vatanka, Alex. 2019. "The Caspian and Iran's Foreign Policy Problems". *Caspian Policy Center. Caspian Affairs Magazine*, April 10, 2019: 1-3. https://www.caspianpolicy.org/caspian-affairs-magazine-2/the-caspian-and-irans-foreign-policy-problems/

Бехзади, Рахеле. 2010. "Внешняя политика Ирана в Каспийском бассейне – между национальными интересами и исламистскими авантюрами". *Центральная Азия и Кавказ*, том 13, выпуск 3: 98-108.

Каражанов, Замир. 2019. "Четверо пятого ждут: последняя точка в Каспийской конвенции – за Ираном". *Ритм Евразии*. 29.09.2019: 1-5. https://www.ritmeurasia.org/news--2019-09-29--chetvero-pjatogo-zhd...poslednjaja-tochka-v-kaspijskoj-konvencii-za-iranom-45131?print=1

Министерство иностранных дел Туркменистана. 2019. "Общая информация о первом Каспийском экономическом форуме". https://www.mfa.gov.tm/ru/cef